

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 25 დეკემბრის 97 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა 1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2015 წლის 25 დეკემბრის 97 სხდომაზე სტუ-ის სენატის სპიკერი, პროფ. ჯემალ გახოკიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ის სენატის შემადგენლობაში ახალი წევრების უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

სენატმა დაადგინა:

1. ცნობილ იქნეს სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტ ვახტანგ ნოსელიძის უფლებამოსილება სტუ-ის სენატის წევრად;
2. ცნობილ იქნეს სტუ-ის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სტუდენტ თომა ხაბეიშვილის უფლებამოსილება სტუ-ის სენატის წევრად;
3. ცნობილ იქნეს სტუ-ის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის სტუდენტ ნინო გაგნიძის უფლებამოსილება სტუ-ის სენატის წევრად;
4. ცნობილ იქნეს სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სტუდენტ დავით დავითაშვილის უფლებამოსილება სტუ-ის სენატის წევრად.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 25 დეკემბრის #97 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =2

სტუ-ის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ

მიმდინარე წლის 18 დეკემბერს №41 წერილით სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა სენატს დასამტკიცებლად წარმოუდგინა 2016 წლის ბიუჯეტის პროექტი, შედგენილი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის და სტუ-ის 2016 წლის ბიუჯეტის შედგენის წესის დაცვით. ნაერთი და საფაკულტეტო ბიუჯეტების შემოსავლები და ხარჯები გაწერილია საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით.

სტუ-ის 2016 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი ნაშთის ჩათვლით (24 555 ლარი, მათ შორის რაგბის განვითარების ხელშეწყობის პროგრამიდან – 22 195 ლარი, ხოლო 2400 ლარი საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის სწავლების ხელშეწყობის პროგრამით) განისაზღვრა 53 482 498 ლარით, რომელიც 2015 წლის შესაბამისი პერიოდის ბიუჯეტის მაჩვენებლებთან (49 171 563 ლარი) შედარებით გაზრდილია 4 310 935 ლარით, აღნიშნული სხვაობიდან სამეცნიერო კვლევითი გრანტების მაჩვენებელი გაზრდილია 816 564 ლარით, კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლები გაზრდილია 1 101 014 ლარით, სწავლების საფასურის შემოსავალი გაზრდილია 2 384 835 ლარით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული პროგრამული დაფინანსება – 5 400 ლარით, ხოლო რაგბის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის დაფინანსება – 3 122 ლარით.

2016 წლის ასიგნებები შესაბამისად განისაზღვრა 53 482 498 ლარით, სადაც შრომის ანაზღაურების (29 380 578 ლ.) წილი ასიგნებების მიმართ შეადგენს 54,9 %-ს, საქონელი და მომსახურების (18 690 987 ლარი) წილი – 34,9 %-ს, სოციალური უზრუნველყოფა (405 160 ლარი) 0,7%-ს, სხვა ხარჯები (1 955 984 ლარი) 3,6 %-ს, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდა (2 951 394 ლარი) 5,5%-ს, ამასთან,

ადმინისტრირების ასიგნებების (8 095 322 ლარი) წილი მთლიანი ასიგნების მიმართ შეადგენს 15 %-ს, ხარჯების წილი მთლიანი ხარჯების მიმართ 15,4%-ს, ხოლო ადმინისტრაციაში დასაქმებულ თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება (3 605 997 ლარი) საერთო შრომის ანაზღაურების მიმართ 12,2 %-ს.

აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციის საშტატო პერსონალის, ფაკულტეტების ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალის საშტატო ერთეულების რაოდენობა შეადგენს 1 182 ერთეულს, ხოლო წლიური სახელფასო ფონდი 8 222 340 ლარს.

საფაკულტეტო ბიუჯეტები დაგეგმილია ნორმატიულ ბაზაზე დადგენილი შემოსავლებიდან გასანაწილებელი თანხის პროცენტისა და ზოგადსაუნივერსიტეტო საგნების სწავლების დაფინანსებისათვის გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად, საიდანაც ფაკულტეტების შემოსავლები ნაწილდება, როგორც ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების გადასახდელების დაფინანსებისათვის, ასევე ზოგადსაუნივერსიტეტო საგნების სწავლების დაფინანსებისათვის, რაც ასახვას პოვებს ფაკულტეტების საბოლოო შემოსავლისა და ასიგნებების მაჩვენებლებზე:

1. სამშენებლო ფაკულტეტის ასიგნებები თავისი შემოსავლის მიმართ შეადგენს 82%-ს;
2. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ასიგნებები 81,3%-ს;
3. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ასიგნებები 97,5%-ს;
4. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ასიგნებები დაგეგმილია ზოგადსაუნივერსიტეტო საგნების სწავლების დაფინანსებისათვის გადაცემული და მიღებული ტრანსფერის ჩათვლით;
5. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ასიგნებები 81,6%-ს;
6. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ასიგნებები 88,6%-ს;
7. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ასიგნებები 68,5%-ს;
8. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ასიგნებები 91 %-ს;
9. აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ასიგნებები 78%-ს;
10. დიზაინის საერთაშორისო სკოლის ფაკულტეტი დეფიციტურია და ასიგნებები დაგეგმილია ფაკულტეტის შემოსავლისა და გასაცემი ტრანსფერის – 135 580 ლარის ჩათვლით.

სენატი დადებითად თვლის იმ ფაქტს, რომ ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაზრდილია 7 710 935 ლარით. საბიუჯეტო ხარჯები ძირითადად მიმართულია პროფესორ-მასწავლებელთა და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურებაზე, მათი სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე. მასში ასახულია შრომის ანაზღაურების ბონუსურ სისტემაზე გადასვლისათვის აუცილებელი საბიუჯეტო ასიგნებები.

სენატს მიაჩნია, რომ მიუხედავად გარკვეული დადებითი მომენტებისა დასამტკიცებლად წარმოდგენილი ბიუჯეტი ხასიათდება ნაკლოვანებებით. იგი სრულყოფილად ვერ პასუხობს პროგრამული ბიუჯეტის მოთხოვნებს. ბიუჯეტის კლასიფიკატორის მიხედვით გაწერილი ხარჯვითი ნაწილის აგრეგირებული მაჩვენებლები არ არის უზრუნველყოფილი დეტალურად მიზნობრივი პროგრამებით. ბიუჯეტში, სათანადო დასაბუთების გარეშე, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების ხარჯები გაზრდილია დაახლოებით 3 მილიონით.

სენატი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ არ არის შესრულებული სენატის 2014 წლის 17 დეკემბრის დადგენილება №1 დამხმარე პერსონალის ოპტიმალური სამტატო განრიგის და ღია კონკურსის წესით სამუშაოზე მიღების წესის შემუშავების და სენატზე დასამტკიცებლად წარმოდგენის შესახებ; რაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ამ კატეგორიის თანამშრომლების შრომის ანაზღაურებისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო ხარჯების დაუსაბუთებლობას. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ წარმოდგენილ ბიუჯეტში 2015 წლის ბიუჯეტთან შედარებით 2-ჯერ არის შემცირებული ხარჯები შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტზე. უფრო მეტიც, დღემდე არ არის შემუშავებული სარემონტო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სენატმა დაადგინა:

დამტკიცდეს სტუ-ის 2016 წლის ნაერთი ბიუჯეტი (დანართი №1).

I. საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 53 482 498 ლარით, მათ შორის:

1. ნაშთი წლის დასაწყისში საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის სწავლების ხელშეწყობის პროგრამით 2 400 ლარით და რაგბის განვითარების ხელშეწყობის პროგრამიდან 22 155 ლარით;
2. ფასიანი სწავლებიდან შემოსავალი 47 536 315 ლარით;
3. სამეცნიერო გრანტები 3 026 696 ლარით;

4. საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის სწავლების ხელშეწყობის პროგრამა 3 000 ლარით;
5. კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლები 2 891 932 ლარით (იჯარა 588 617 ლარი; დეპოზიტები 250 000 ლარი; სახელშეკრულებო თემებიდან და ცენტრებიდან შემოსავალი 2 053 315 ლარი);

II. ხარჯვითი ნაწილი შესაბამისად განისაზღვროს 53 482 498 ლარით, მათ შორის:

1. შრომის ანაზღაურება 29 380 578 ლარით;
2. საქონელი და მომსახურება 18 690 987 ლარით;
3. სოციალური უზრუნველყოფა 405 160 ლარით;
4. სხვა ხარჯები 1 955 984 ლარით;
5. არაფინანსური აქტივების ზრდა 2 951 394 ლარით.

III. დამტკიცდეს სტუ-ის 2016 წლის ბიუჯეტის ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების ასიგნებები 8 095 328 ლარით (დანართი №2), მათ შორის:

1. შრომის ანაზღაურება 3 605 997 ლარით;
2. საქონელი და მომსახურება 3 824 691 ლარით;
3. სხვა ხარჯები 356 720 ლარით;
4. არაფინანსური აქტივების ზრდა 289 500 ლარით.

IV. დამტკიცდეს სტუ-ის ფაკულტეტების 2016 წლის ბიუჯეტები (დანართი №4), მათ შორის:

1. სამშენებლო ფაკულტეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 5 316 378 ლარით; ასიგნებები 4 362 195 ლარით;
2. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 5 774 625 ლარით; ასიგნებები 4 697 417 ლარით;
3. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 2 695 750 ლარით; ასიგნებები 2 629 070 ლარით;
4. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 3 150 900 ლარით; ასიგნებები 3 320 365 ლარით;
5. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 5 246 400 ლარით; ასიგნებები 4 284 433 ლარით;
6. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 2 053 012 ლარით; ასიგნებები 1 820 004 ლარით;

7. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 11 878 225 ლარით; ასიგნებები 8 142 984 ლარით;
8. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 8 392 925 ლარით; ასიგნებები 7 638 839 ლარით;
9. აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 2 855 350 ლარით; ასიგნებები 2 237 350 ლარით;
10. დიზაინის საერთაშორისო სკოლის ფაკულტეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 172 750 ლარით; ასიგნებები 308 330 ლარით;
სულ ფაკულტეტების საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 47 536 315 ლარით, ასიგნებები 39 440 987 ლარით.

V. დამტკიცდეს:

- ა. 2016 წლის სამეცნიერო-კვლევითი გრანტებიდან შემოსავლები 3 026 696 ლარით;
- ბ. 2016 წლის შემოსულობები და გადასახდელები ეკონომიკური საქმიანობიდან 2 891 932 ლარით;
- გ. სტუ-ისა და აიოვას უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულების შესასრულებლად 2016 წელს გასაწევი ხარჯების მოცულობა 82 975 ლარით;
- დ. რაგბის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის მოცულობა 22 155 ლარით, საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის სწავლების ხელშეწყობის პროგრამა 5 400 ლარით (2400 ლარი ნაშთის ჩათვლით).

VI. ნება დაერთოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს სტუ-ის 2016 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში წლის განმავლობაში განახორციელოს ცვლილებები მთლიანი ასიგნების 7 %-ის ფარგლებში;

VII. სტუ-ის 2016 წლის ბიუჯეტის შედგენის წესის შესაბამისად ფაკულტეტების მიერ მიღებული ჭარბი შემოსავლების 100% დარჩეს მათ განკარგულებაში;

VIII. სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა (პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი) უზრუნველყოს:

1. ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილის განუხრელი შესრულება;

2. ფაკულტეტის დეკანებთან ერთად ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით განსაზღვრული ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ყველა პარამეტრის შესაბამისად შემუშავებული მიზნობრივი პროგრამებით დაგეგმილი და დაზუსტებული ნაერთი ბიუჯეტი დასამტკიცებლად წარუდგინოს სენატს 2016 წლის თებერვალში;
3. დამტკიცებული ბიუჯეტის ასიგნების შესრულების პროცესში მიღებული ეკონომია, წახალისებისა და მოტივაციის გაზრდის მიზნით, მიმართოს თანამშრომელთა პრემიისა და დანამატის ფონდში;
4. შესაძლებლად მოკლე ვადაში შეიმუშაოს დამხმარე პერსონალის სამუშაოზე მიღების ღია კონკურსის წესი და დასამტკიცებლად წარმოუდგინოს სენატს. გაითვალისწინოს, რომ ამ მხრივ სენატის 2014 წლის 17 დეკემბრის №1 დადგენილების შეუსრულებლობაზე პასუხისმგებლობა პერსონალურად ეკისრება ადმინისტრაციის ხელმძღვანელს;
5. დაევალოს აუდიტის სამსახურს ჩაატაროს შემოწმება შესყიდვებთან დაკავშირებული ტენდერების კანონიერების, დროულობისა და ეფექტიანობის მიზნით და შედეგები წარმოადგინოს ადმინისტრაციის შესაბამის სამსახურებთან ერთად 2016 წლის მარტში სენატის სხდომაზე განსახილველად;
6. დაისვას საკითხი სტუ-ის რექტორის წინაშე (აკად. ა. ფრანგიშვილი) მკაცრად მოსთხოვოს შესაბამის სამსახურებს დამხმარე პერსონალის ოპტიმალური საშტატო განრიგის შემუშავება და სენატზე დასამტკიცებლად წარმოადგენა.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 25 დეკემბრის 97 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა 3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2015 წლის 25 დეკემბრის 97 სხდომაზე სტუ-ის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა ბექა მაისურაძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ის აკადემიურ და მასწავლებელთა პერსონალზე სახელფასო დანამატის (ბონუსი) გაცემის წესის შესახებ.

სენატმა დაადგინა: სტუ-ის აკადემიურ და მასწავლებელთა პერსონალზე სახელფასო დანამატის (ბონუსი) გაცემის წესის პროექტზე გაგრძელდეს მუშაობა და საბოლოო რედაქტირების მიზნით შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. ჯემალ ბერიძე (თავმჯდომარე);
2. ოთარ ზუმბურიძე;
3. ზვიად კოვზირიძე;
4. ლევან იმნაიშვილი;
5. ბექა მაისურაძე;
6. გივი გოლეთიანი;
7. გიორგი ძიძიგური.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე